ახალი საქართველოს უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

New Georgian University
Faculty of Humanities and Social Sciences

ილია გვიმრაძე
(არქიმანდრიტი დიონისე)

Ilia Gvimradze
(Archimandrite Dionise)

პავლე მოციქული როგორც ქრისტიანი ფილოსოფოსი
The Apostle Paul as a Christian Philosopher

საგანმანათლებლო პროგრამა: ქრისტიანული ფილოსოფია
Educational program: Christian Philosophy

ნაშრომი წარდგენილია ფილოსოფიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
Thesis submitted for the degree of Doctor of Philosophy

ავტორეფერატი

ფოთი 2026 Poti

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: **თენგიზ ირემაძე**
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.ngu.edu.ge

დისერტაციის დაცვა შედგება ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ქ. ფოთი, გურიის ქუჩა № 1).

სარჩევი

საკვლევი პრობლემატიკა და მისი აქტუალობა ____ 4

კვლევის მიზანი ____ 6

კვლევის ამოცანები ____ 8

კვლევის ჰიპოთეზა ____ 9

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

და კვლევის თეორიული კონტექსტი ____ 10

მეთოდოლოგია ____ 11

კვლევის შედეგების აღწერა ____ 12

ნაშრომის მეცნიერული სიახლე ____ 13

დასკვნა ____ 15

საკვლევი პრობლემატიკა და მისი აქტუალობა

პავლე მოციქული ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი საკვანძო და ავტორიტეტული ფიგურაა. მის შემოქმედებაში, ერთი მხრივ, ვხვდებით ელინისტურ-რომაული ინტელექტუალური გარემოსთვის დამახასიათებელი ცნებებისა და სააზროვნო ფორმების შერჩევით გამოყენებასა და ტრანსფორმაციას, ხოლო, მეორე მხრივ — იუდაურ სჯულთან ორგანულ კავშირსა და მის ქრისტოლოგიურ გადააზრებას. ამასთან, აღნიშნული სააზროვნო და რელიგიური ელემენტები პავლეს ქრისტიანულ მოძღვრებაში ახალ კონცეპტუალურ შინაარსს იძენს; აღსანიშნავია ისიც, რომ პავლეს მოძღვრებამ მნიშვნელოვნად განაპირობა შემდგომი ქრისტიანული ტრადიციის ფართო სააზროვნო ჰორიზონტის ჩამოყალიბება. ყოველივე ამის საფუძველზე იგი შეიძლება მივიჩნიოთ ქრისტიანული აზროვნების ერთ-ერთ პარადიგმატულ ავტორად, წინარე რელიგიური და ფილოსოფიური მემკვიდრეობის ქრისტიანული გამოცხადების პერსპექტივაში ახლებურად განმმარტებელ მოაზროვნედ. შესაბამისად, საკვლევ პრობლემას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რა საფუძვლით შეიძლება პავლეს ნააზრევის ქრისტიანულ ფილოსოფიად გააზრება.

წინამდებარე კვლევაში ქრისტიანული ფილოსოფია გაგებულია როგორც ღვთაებრივ გამოცხადებაში მოცემულ ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული, კონცეპტუალურად თანმიმდევრული აზროვნება, რომელიც ღმერთის, ადამიანის, ხსნისა და ზნეობრივი ცხოვრების ძირითად საკითხებს ფილოსოფიური ენისა და კატეგორიების მეშვეობით გაიაზრებს.

პავლე მოციქული მოღვაწეობდა ელინისტურ-რომაული ეპოქის მრავალფეროვან ინტელექტუალურ გარემოში, რომელშიც წარმოდგენილი იყო პლატონური, არისტოტელური, სტოიკური და ეპიკურული მიმართულებები, აგრეთვე, იუდაური რელიგიურ-სააზროვნო ტრადიცია. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია პავლეს აზროვნების ისტორიული კონტექსტის გასააზრებლად, თუმცა, იგი თავისთავად არ ადასტურებს ჩამოთვლილი ფილოსოფიური სკოლების უშუალო გავლენას მის ნააზრევზე. პავლეს აზროვნების განმსაზღვრელ საფუძველს ქრისტეში განხორციელებული ღვთაებრივი გამოცხადება წარმოადგენს. სწორედ ამ მრავალფეროვანი ინტელექტუალური და

რელიგიური კონტექსტის გათვალისწინებით განსაკუთრებით აქტუალურია მისი ნააზრევის სისტემური კვლევა ქრისტიანული ფილოსოფიის პერსპექტივიდან. მიუხედავად პავლეს ნააზრევისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი კვლევებისა, მოციქულის — როგორც ქრისტიანი ფილოსოფოსის — კომპლექსური და სისტემური გააზრება დღემდე აქტუალურ კვლევით მიმართულებად რჩება.

ამასთანავე, პავლე მოციქულის გავლენა უდიდესია როგორც ქრისტიანობის გავრცელების, ისე ქრისტიანული აზროვნების კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბების საქმეში. მისი ნააზრევი საუკუნეების განმავლობაში არაერთი თეოლოგიური, ფილოსოფიური და ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციის საგანი გახდა.

პავლეს განსაკუთრებულ ადგილს ქრისტიანულ ტრადიციაში ისიც ადასტურებს, რომ ახალი აღთქმის ოცდაშვიდი წიგნიდან, ეკლესიის ტრადიციის მიხედვით, მას თოთხმეტი ეპისტოლე მიეწერება. ამასთან, იგი არ ეკუთვნოდა თორმეტ მოციქულთა წრეს და ქრისტეს მიწიერი მოღვაწეობის დროს მის მიმდევართა შორის არ ყოფილა; თავდაპირველად იგი ეკლესიას დევნიდა, ხოლო მოციქულობისათვის მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს გამოცხადების შედეგად იქნა მოწოდებული. იგი საკუთარ თავს წარმართთა მოციქულს უწოდებს, ხოლო მისი ეს მისია შემდგომ სხვა მოციქულებმაც აღიარეს (გალ. 2:7-9). სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა, რომ მისი პიროვნება და მოძღვრება დღემდე განსაკუთრებული კვლევითი ინტერესის საგნად რჩება როგორც ქრისტიანულ, ისე ფართო აკადემიურ და ინტელექტუალურ სივრცეში.

პავლე მოციქულის ეპისტოლეებში ელინისტური ფილოსოფიის წარმომადგენელთა პირდაპირი ციტირება სისტემურ ხასიათს არ ატარებს. იგი იმ დროისათვის საზოგადოდ გავრცელებულ რამდენიმე გამონათქვამს იყენებს, რაც კლასიკურ ფილოსოფიაში მისი აკადემიური განსწავლის უტყუარ მტკიცებულებას არ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, პავლე კარგად ფლობს ბერძნულ ენას, ხოლო მისი მსჯელობები ფილოსოფიური პრობლემატიკისა და ცნებითი აპარატის ცოდნას ავლენს. მისი ნააზრევი შეიძლება შეფასდეს როგორც ანტიკური ფილოსოფიის ცალკეულ კატეგორიათა შემოქმედებითი რეცეფცია და ქრისტიანული გადააზრება, აგრეთვე, ანტიკური აზროვნების ცნებითი ინსტრუმენტების გამოყენებით ქრისტიანული ჭეშმარიტების გადმოცემა.

ყოველივე აღნიშნული საფუძველს გვაძლევს, რომ პავლე ერთ-ერთ პირველ ქრისტიან ფილოსოფოსად განვიხილოთ.

პავლე მოციქულის ქრისტიანულ ფილოსოფიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის ჰერმენევტიკულ მოდელს, ანთროპოლოგიურ კონცეფციასა და ეთიკურ მოძღვრებას. სწორედ ამ სამი მიმართულების ერთობლიობაში მკაფიოდ იკვეთება პავლეს ქრისტიანული ფილოსოფიის კონცეპტუალური მთლიანობა, რაც მისი ნააზრევის სისტემური კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს.

მოცემულ კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აღნიშნულ მიმართულებებს, რადგან თითოეული მათგანი დღემდე ინარჩუნებს სამეცნიერო მნიშვნელობას. ჰერმენევტიკა ტექსტების განმარტების თეორია და პრაქტიკაა, რომელსაც ხანგრძლივი ფილოსოფიურ-რელიგიური ტრადიცია აქვს და რომელიც თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ მიმართულებად რჩება. ანთროპოლოგიური და ეთიკური საკითხები კი უშუალოდ ადამიანის ბუნებას, თავისუფლებას, პასუხისმგებლობასა და ცხოვრების საზრისს ეხება, რის გამოც მათ როგორც ფილოსოფიურ, ისე თეოლოგიურ კვლევებში მუდმივად მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. სწორედ ამიტომ პავლეს ჰერმენევტიკის, ანთროპოლოგიისა და ეთიკის როგორც ცალ-ცალკე, ისე ურთიერთკავშირში კვლევა დღესაც განსაკუთრებულ სამეცნიერო აქტუალობას ინარჩუნებს.

კვლევის მიზანი

წინამდებარე სადოქტორო ნაშრომის მიზანია სისტემური კვლევის საფუძველზე პავლე მოციქულის ნააზრევის შინაგანი მთლიანობისა და ფილოსოფიური ხასიათის დასაბუთება და პავლეს, როგორც ქრისტიანი ფილოსოფოსის წარმოჩენა. კვლევა მიზნად ისახავს აჩვენოს, რომ პავლეს მოძღვრება არ წარმოადგენს მხოლოდ ცალკეულ თეოლოგიურ დებულებათა ერთობლიობას, არამედ ავლენს ღვთაებრივ გამოცხადებაზე დაფუძნებულ, შინაგანად ურთიერთდაკავშირებულ და კონცეპტუალურად თანმიმდევრულ ქრისტიანულ-ფილოსოფიურ ხედვას. ამ ხედვის მთლიანობა ღმერთის, ადამიანის, ხსნისა და

ზნეობრივი ცხოვრების შესახებ პავლეს მსჯელობათა ურთიერთმიმართებაში ვლინდება, ხოლო მის ნააზრევს ერთიანი ქრისტოცენტრული და პნევმატოლოგიური მიმართულება აქვს.

პავლეს ქრისტიან ფილოსოფოსად წარმოჩენა არ გულისხმობს მის ხელოვნურად მიკუთვნებას რომელიმე ანტიკური ფილოსოფიური სკოლისადმი ან მის მიერ დასრულებული ფილოსოფიური სისტემის შექმნის მტკიცებას. ამ შემთხვევაში ფილოსოფიური აზროვნება გაგებულია როგორც ღმერთის, ადამიანის, ხსნისა და ზნეობრივი ცხოვრების ძირითად საკითხთა თანმიმდევრული და კონცეპტუალურად გამართული გააზრება ღვთაებრივი გამოცხადების საფუძველზე. პავლე მსჯელობს ადამიანის არსებობის საზრისზე, მის დაცემულ მდგომარეობაზე, ქრისტეში განახლებასა და ზნეობრივი ცხოვრების საფუძვლებზე და ამ საკითხებს ქრისტეში აღსრულებული ხსნის ერთიან პერსპექტივაში განიხილავს. შესაბამისად, მისი ნააზრევის სისტემურობა დასრულებული და ფორმალიზებული ფილოსოფიური სისტემის არსებობას კი არ გულისხმობს, არამედ მისი ძირითადი დებულებების შინაგან კავშირს, საერთო საფუძველსა და ქრისტოცენტრულ მიმართულებას.

პავლეს ქრისტიანულ-ფილოსოფიური ხედვის შინაგანი მთლიანობა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატება ჰერმენევტიკის, ანთროპოლოგიისა და ეთიკის ურთიერთმიმართებაში. ღვთაებრივი გამოცხადებისა და წმინდა წერილის პავლესეული გაგება საფუძვლად ედება ადამიანის ბუნების, მდგომარეობისა და ქრისტეში განახლების შესახებ მოძღვრებას, ხოლო ქრისტეში განახლებული ადამიანის არსებობა ზნეობრივ ცხოვრებაში გამოიხატება. ამდენად, ჰერმენევტიკული, ანთროპოლოგიური და ეთიკური განზომილებები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ თეოლოგიურ თემებად კი არ წარმოჩნდება, არამედ ერთი ქრისტიანულ-ფილოსოფიური ხედვის ურთიერთდაკავშირებულ ასპექტებად. მათი ერთიანობა ცხადყოფს, რომ პავლესთან გამოცხადების გაგება, ადამიანის შესახებ მოძღვრება და ზნეობრივი ცხოვრების პრინციპები საერთო ქრისტოლოგიურ და პნევმატოლოგიურ საფუძველს ემყარება.

პავლეს ნააზრევის ფილოსოფიური თვითმყოფადობა იუდაურ და ელინისტურ-რომაულ ინტელექტუალურ ტრადიციებთან მისი მიმართების გათვალისწინებითაც წარმოჩნდება. მისი აზროვნება ორივე ტრადიციას უკავშირდება, თუმცა, არცერთ მათგანზე არ დაიყვანება.

პავლე იუდაურ სარწმუნოებრივ მემკვიდრეობას ქრისტოცენტრულად განმარტავს, ხოლო ელინისტურ-რომაული სამყაროს ცალკეულ ინტელექტუალურ ელემენტებს ქრისტიანული გამოცხადების შუქზე გადაიაზრებს. ამგვარად, ნაშრომი მიზნად ისახავს პავლეს ნააზრევის ქრისტიანულ-ფილოსოფიური მნიშვნელობის გააზრებას, მისი კონცეპტუალური მთლიანობის წარმოჩენასა და ქრისტიანული ფილოსოფიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში პავლეს ადგილის განსაზღვრას.

კვლევის ამოცანები

კვლევის მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები:

1. პავლე მოციქულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიულ-ინტელექტუალური კონტექსტის, მისი განათლებისა და ეპისტოლარული მემკვიდრეობის კვლევა, რაც საფუძველს ქმნის მისი ნააზრევის შემდგომი სისტემური ანალიზისთვის.

2. პავლეს ჰერმენევტიკული მოდელის, მისი პრინციპების, მეთოდებისა და წმინდა წერილის განმარტების თავისებურებების კვლევა.

3. პავლეს ანთროპოლოგიური მოძღვრების სისტემური ანალიზი, მისი მიმართების კვლევა იუდაურ და ანტიკურ ანთროპოლოგიურ ტრადიციებთან და მისი ქრისტოცენტრული სპეციფიკის წარმოჩენა.

4. პავლეს ეთიკური მოძღვრების კვლევა, იუდაურ და ანტიკურ ეთიკურ ტრადიციებთან მიმართების, ძირითადი პრინციპებისა და ქრისტიანული ცხოვრების ონტოლოგიური საფუძვლების ანალიზი.

5. პავლეს ჰერმენევტიკის, ანთროპოლოგიისა და ეთიკის ურთიერთკავშირის საფუძველზე მისი ნააზრევის ერთიანი ქრისტიანულ-ფილოსოფიური სტრუქტურისა და სპეციფიკის წარმოჩენა, აგრეთვე ქრისტიანული ფილოსოფიის ჩამოყალიბებაში მისი მნიშვნელობის განსაზღვრა.

კვლევის ჰიპოთეზა

წინამდებარე კვლევა ეფუძნება ჰიპოთეზას, რომ პავლე მოციქულის ეპისტოლეები არ წარმოადგენენ მხოლოდ ქრისტიანულ დოგმატურ, ზნეობრივ და ეგზეგეტიკურ დებულებათა ერთობლიობას, არამედ ავლენენ შინაგანად თანმიმდევრულ ქრისტიანულ-ფილოსოფიურ ხედვას. ამ ხედვის საფუძველს წარმოადგენს არა აბსტრაქტული ფილოსოფიური სპეკულაცია, არამედ ღვთაებრივი გამოცხადება, რომლის ცენტრშიც დგას იესო ქრისტეს პიროვნება და მისი გამომხსნელი მისია.

კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით, პავლე მოციქული არც იუდაური ტრადიციის მექანიკური გამგრძელებელია და არც ანტიკური ფილოსოფიური აზროვნების პირდაპირი მემკვიდრე. ქრისტეს გამოცხადების საფუძველზე იგი, ერთი მხრივ, ახდენს იუდაური რელიგიურ-ინტელექტუალური მემკვიდრეობის რეცეფციასა და მის ქრისტოცენტრულ განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, ანტიკური ფილოსოფიური აზროვნების ცალკეულ ცნებებსა და კატეგორიებს ქრისტიანული გამოცხადების სამსახურში აყენებს.

ამ თვალსაზრისით, პავლეს ჰერმენევტიკა, ანთროპოლოგია და ეთიკა მისი ქრისტოცენტრული აზროვნების ურთიერთდაკავშირებული მიმართულებებია და ერთიანობაში წარმოაჩენს მის ქრისტიანულ-ფილოსოფიურ ხედვას. პავლეს ჰერმენევტიკა წმინდა წერილის ღვთივსულიერების აღიარებასა და ღვთაებრივ გამოცხადებას ეფუძნება; მისი ანთროპოლოგია ადამიანის მთლიანობის იუდაურ-ბიბლიურ ხედვას ავითარებს და არსებითად ემიჯნება ბერძნულ ფილოსოფიაში წარმოდგენილ ცალკეულ დუალისტურ მოდელებს, რამდენადაც ადამიანს არ განიხილავს სულისა და სხეულის ონტოლოგიური დაპირისპირების საფუძველზე; ხოლო მისი ეთიკური მოძღვრება წარმოჩნდება არა როგორც გარეგანი მორალური კოდექსი, არამედ როგორც მადლით განახლებული ადამიანის ქრისტეში ცხოვრების წესი.

ამრიგად, კვლევის ძირითადი ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ პავლე მოციქული შეიძლება გააზრებულ იქნეს როგორც ქრისტიანი ფილოსოფოსი. მისი ნააზრევი ეფუძნება ღვთაებრივ გამოცხადებას, ის ქრისტოცენტრულ ხასიათს ატარებს და იუდაური ტრადიციისა და ელინისტური ინტელექტუალური მემკვიდრეობის ცალკეული ელემენ-

ტების ქრისტიანული რეცეფციისა და გადააზრების გზით თანმიმდევრულ ქრისტიანულ-ფილოსოფიურ ხედვას აყალიბებს.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი

პავლე მოციქული ქრისტიანული აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე საფუძვლიანად შესწავლილი ავტორია. მისი ეპისტოლეები მრავალი საუკუნის განმავლობაში ინტენსიური კვლევის საგანს წარმოადგენენ როგორც ბიბლეისტიკაში, ისე თეოლოგიაში, ფილოსოფიასა და რელიგიის ისტორიაში. პავლეს მოძღვრებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურა მეტად ვრცელია და სხვადასხვა ენაზეა წარმოდგენილი. მისი ნააზრევის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, არსებული კვლევები შესრულებულია განსხვავებული მეთოდოლოგიური და დისციპლინური პერსპექტივებიდან.

თანამედროვე სამეცნიერო კვლევებში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი მიმართულება: ერთი მხრივ, ისტორიულ-კრიტიკული და ეგზეგეტიკური კვლევები, რომლებიც ეპისტოლეთა ავტორობას, ქრონოლოგიას, ლიტერატურულ თავისებურებებსა და ისტორიულ კონტექსტს შეისწავლიან; მეორე მხრივ, ფართოდ არის წარმოდგენილი პავლეს ქრისტოლოგიის, სოტერიოლოგიის, ეკლესიოლოგიისა და ეთიკური მოძღვრებისადმი მიძღვნილი სისტემური თეოლოგიური ნაშრომები. ამასთანავე, ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი პავლეს ჰერმენევტიკის, ანთროპოლოგიისა და ანტიკურ ფილოსოფიურ ტრადიციებთან მისი კავშირის კვლევისადმი.

წინამდებარე კვლევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პავლეს ცხოვრებისა და ქრონოლოგიის შესახებ მ. ჰენგელისა და ჯ. მერფი-ო'კონორის ნაშრომებს; მისი ისტორიულ-ინტელექტუალური გარემოსა და ანტიკურ ფილოსოფიურ ტრადიციასთან მიმართების გასააზრებლად — ა. უ. პიტსის კვლევებს; პავლეს ჰერმენევტიკის შესწავლისას — რ. ჰეიზის ნაშრომებს, ხოლო ბიბლიური ჰერმენევტიკის თეორიულ საფუძვლად აღებულია დ. გ. დობიკინის ნაშრომი. ასევე გათვალისწინებულია ჯ. დ. ჯ. დანის, გ. ე. ლადისა და ვ. პ. ფერნიშის ნაშრომები, რომლებშიც პავლეს თეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და

ეთიკის სხვადასხვა ასპექტია გაანალიზებული. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს პავლეს ეპისტოლეთა პატრისტიკული ინტერპრეტაციები, თანამედროვე საღვთისმეტყველო კვლევები, აგრეთვე ანტიკური და ქრისტიანული ფილოსოფიის სფეროში შესრულებული ნაშრომები. ამ მხრივ, უმთავრესი ადგილი ეთმობა წმინდა იოანე ოქროპირისა და სხვა წმინდა მამათა განმარტებებს, რომლებიც პავლეს ეპისტოლეებს ეკლესიის ცოცხალი გარდამოცემის ფარგლებში განიხილავენ და მის ღვთისმეტყველებას ქრისტიანული სწავლების ორგანულ ნაწილად წარმოაჩენენ.

მიუხედავად არსებული მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ლიტერატურისა, პავლეს ნააზრევი, უმეტესწილად, ცალკეული დისციპლინური მიმართულებების ფარგლებში განიხილება. შესაბამისად, მისი ჰერმენევტიკის, ანთროპოლოგიისა და ეთიკის სისტემური გააზრება, როგორც ერთიანი ქრისტოცენტრული თეოლოგიურ-ფილოსოფიური ხედვის ურთიერთდაკავშირებული ასპექტებისა, შედარებით ნაკლებად არის დამუშავებული. სწორედ ამ მიმართულებას ეფუძნება წინამდებარე კვლევა, რომელიც პავლეს ეპისტოლეთა კომპლექსური ანალიზის საფუძველზე წარმოაჩენს მისი ნააზრევის შინაგან თანმიმდევრულობას და ასაბუთებს პავლე მოციქულის, როგორც ქრისტიანი ფილოსოფოსის გააზრების შესაძლებლობას.

კვლევა ეფუძნება ახალი აღთქმის ბერძნულ ტექსტს, წმინდა მამათა განმარტებებს, თანამედროვე ბიბლეისტიკურ, თეოლოგიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურას. აღნიშნული წყაროების შედარებითი, ისტორიულ-გრამატიკული და სისტემური ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილია პავლე მოციქულის ჰერმენევტიკის, ანთროპოლოგიისა და ეთიკის შინაგანი ერთიანობა და დასაბუთებულია მისი, როგორც ქრისტიანი ფილოსოფოსის გააზრების შესაძლებლობა.

მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია ეგზეგეტიკური, ჰერმენევტიკული, ლექსიკურ-სემანტიკური, ისტორიულ-გრამატიკული, ისტორიულ-კულტურული, ფილოსოფიურ-ანალიტიკური, სისტემური და კომპარატივისტული მეთოდები. მათი მეშვეობით გამოკვლეულია

პავლე მოციქულის აზროვნების შინაგანი ლოგიკა და გამოვლენილია მისი ქრისტიანული ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებები.

პავლე მოციქულის ცხოვრებისა და განათლების საკითხები შესწავლილია ისტორიულ-კულტურული და კომპარატივისტული მიდგომებით. მის ეპისტოლეთა ეგზეგეტიკურმა, ჰერმენევტიკულმა, ლექსიკურ-სემანტიკურმა და ისტორიულ-გრამატიკულმა ანალიზმა, იუდაურ და ელინისტურ ინტელექტუალურ ტრადიციებთან მიმართებით, გამოავლინა წმინდა წერილის განმარტების ძირითადი პრინციპები. ფილოსოფიურ-ანალიტიკურმა და სისტემურმა მიდგომებმა კი შესაძლებელი გახადა ამ პრინციპების ერთიან ჰერმენევტიკულ მოდელად წარმოჩენა.

ანთროპოლოგიური მოძღვრების კვლევისას ეგზეგეტიკური, ლექსიკურ-სემანტიკური და ფილოსოფიურ-ანალიტიკური მეთოდებით გაანალიზდა პავლეს ძირითადი ანთროპოლოგიური ცნებები და მათი ურთიერთმიმართება, ხოლო სისტემურმა და კომპარატივისტულმა მიდგომებმა მათი კონცეპტუალური მთლიანობა და სპეციფიკა გამოკვეთა.

ეთიკური მოძღვრების შესწავლისას ეგზეგეტიკური, ჰერმენევტიკული, ფილოსოფიურ-ანალიტიკური, სისტემური და კომპარატივისტული მიდგომების საფუძველზე გამოვლენილია მისი ქრისტოცენტრული და პნევმატოლოგიური საფუძვლები, აგრეთვე, კონცეპტუალური თავისებურებები.

კვლევის შედეგების აღწერა

განხორციელებული კვლევის საფუძველზე გამოვლენილია პავლეს ნააზრევის ძირითადი ქრისტიანულ-ფილოსოფიური პრინციპები და კატეგორიები, აგრეთვე მათი მიმართება იუდაურ ბიბლიურ ტრადიციასა და ელინისტურ ინტელექტუალურ გარემოსთან. კვლევა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა: შესწავლილ იქნა პავლეს ცხოვრებისა და განათლების ისტორიულ-კულტურული კონტექსტი, მისი ჰერმენევტიკა, ანთროპოლოგია და ეთიკა.

კვლევის შედეგად წარმოჩინდა პავლე მოციქულის განსაკუთრებული როლი ქრისტიანულ-ფილოსოფიური აზროვნების კონცეპტუალურ ჩამოყალიბებაში. მის ნააზრევში იუდაური ბიბლიური მემკვიდრეობა და

ელინისტურ ინტელექტუალურ გარემოში გავრცელებული ცალკეული ცნებები ქრისტეს გამოცხადების საფუძველზე ახლებურად განიმარტება და ერთიან ქრისტოცენტრულ სააზროვნო მოდელში ახალ საზრისს იძენს.

კვლევამ აჩვენა, რომ პავლეს ჰერმენევტიკული, ანთროპოლოგიური და ეთიკური შეხედულებები ურთიერთდაკავშირებულ კონცეპტუალურ მთლიანობას ქმნის. მათ აერთიანებს წმინდა წერილის ქრისტოცენტრული განმარტება, ადამიანის ქრისტეში განახლება და სულიწმიდის მოქმედებით წარმართული ზნეობრივი ცხოვრება, რომელიც სიყვარულში, თავისუფლებასა და პასუხისმგებლობაში ვლინდება.

აღნიშნული შედეგები პავლეს მოძღვრების მნიშვნელობას წარმოაჩენს არა მხოლოდ ადრექრისტიანული ეპოქის კონტექსტში, არამედ თანამედროვე ადამიანის სულიერი, ანთროპოლოგიური და ეთიკური პრობლემების გააზრების თვალსაზრისითაც და ცხადყოფს მისი ქრისტიანულ-ფილოსოფიური აზროვნების უნივერსალურ ხასიათს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ნაშრომის მთავარი მეცნიერული სიახლე მდგომარეობს პავლე მოციქულის ნააზრევის ქრისტიანულ-ფილოსოფიური განზომილების ახლებურ და კომპლექსურ წარმოჩენაში. სიახლე პავლეს ჰერმენევტიკული, ანთროპოლოგიური და ეთიკური შეხედულებების მხოლოდ ცალ-ცალკე განხილვაში კი არ გამოიხატება, არამედ მათი ურთიერთკავშირის გააზრებასა და ერთიანი ქრისტიანულ-ფილოსოფიური კონცეპტუალური მთლიანობის სახით წარმოჩენაში. აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს პავლეს ცხოვრებისა და განათლების ისტორიულ-კულტურულ კონტექსტს, რომლის ანალიზიც მისი აზროვნების ჩამოყალიბების ინტელექტუალურ ჰორიზონტს გამოკვეთს.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს აგრეთვე იმ ძირითადი კრიტერიუმების გამოკვეთა, რომელთა საფუძველზეც პავლეს ნააზრევი შეიძლება შეფასდეს ქრისტიანულ ფილოსოფიად. მისი აზროვნება ქრისტეში განხორციელებულ ღვთაებრივ გამოცხადებას ეფუძნება, ხოლო მის ფილოსოფიურ ხასიათს წარმოაჩენს ღმერთის, ადამიანის, ხსნისა და

ზნეობრივი ცხოვრების საკითხების კონცეპტუალურად თანმიმდევრული და სისტემური გააზრება.

ჰერმენევტიკული მიმართულებით ნაშრომის კონკრეტულ მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს გამოცხადებითი მეთოდოლოგიის კონცეპტუალური გამოყოფა. აღნიშნული მეთოდოლოგია პავლეს მიერ მიღებულ გამოცხადებას წარმოაჩენს არა მხოლოდ მისი სამოციქულო მოწოდებისა და ქადაგების წყაროდ, არამედ პავლეს აზროვნებისა და წმინდა წერილის ქრისტოცენტრული განმარტების ერთ-ერთ უმთავრეს შემეცნებით საფუძვლად.

პავლეს ნააზრევის ერთიანი ქრისტიანულ-ფილოსოფიური გააზრების ფარგლებში სიახლე მდგომარეობს ქრისტიანული გამოცხადების მიმართების წარმოჩენაში იუდაურ და ელინისტურ სააზროვნო მემკვიდრეობასთან — შერჩევითი რეცეფციისა და ქრისტოცენტრული გარდაქმნის პრინციპის საფუძველზე. პავლე აღნიშნული მემკვიდრეობის ცალკეულ ელემენტებს შერჩევითად იღებს და ქრისტიანული გამოცხადების შუქზე გადაიაზრებს. ამის საფუძველზე მისი ნააზრევი შეიძლება შეფასდეს ქრისტიანული ფილოსოფიის ერთ-ერთ ადრეულ კონცეპტუალურ მოდელად.

ანთროპოლოგიური მიმართულებით ნაშრომის კონკრეტული მეცნიერული სიახლე მდგომარეობს პავლეს მიერ გამოყენებული ცნებების — სულის, სამშვინველის, ხორცის, სხეულის, გონების, გულისა და სინდისის — სემანტიკური განსხვავებების, ფუნქციებისა და ურთიერთმიმართების სისტემურ წარმოჩენაში. კომპარატივისტული ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია მათი მიმართება იუდაურ ანთროპოლოგიურ ტრადიციასა და ელინისტურ ფილოსოფიურ მოძღვრებებთან. ცალკე არის გაანალიზებული „შინაგანი ადამიანის“ ცნება და მისი მიმართება „ახალი ადამიანისა“ და „ღვთის ხატის“ ცნებებთან. აღნიშნული ცნებები ადამიანის ქრისტეში განახლების განსხვავებულ, თუმცა, ურთიერთდაკავშირებულ განზომილებებად არის წარმოდგენილი.

ანთროპოლოგიური მიმართულებით ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს აგრეთვე პავლეს მოძღვრების განღმრთობითი მიზანდასახულობის სისტემური დასაბუთება. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „განღმრთობა“ (θέωσις) პავლეს ეპისტოლეებში არ გვხვდება, ადამიანის ქრისტეში განახლების, გარდაქმნისა და ღმერთთან ერთობის

შესახებ მისი სწავლება ცხადყოფს, რომ პავლეს ანთროპოლოგიის საბოლოო მიზანდასახულობა განღმრთობით შინაარსს ატარებს.

ეთიკური მიმართულებით ნაშრომის კონკრეტული მეცნიერული სიახლე მდგომარეობს პავლეს ეთიკური მოძღვრების გამოცხადებითი, ქრისტოლოგიური, პნევმატოლოგიური, პიროვნული და სოციალური განზომილებების ერთიან ქრისტიანულ-ფილოსოფიურ კონტექსტში გააზრებაში. კვლევის საერთო კონტექსტში პავლეს ეთიკა იკვეთება არა როგორც ავტონომიური მორალური სისტემა, არამედ როგორც ქრისტეში ადამიანის განახლების ზნეობრივი გამოხატულება, რომელიც მის ჰერმენევტიკულ და ანთროპოლოგიურ შეხედულებებს შინაგანად უკავშირდება. ამავე კონტექსტში სისტემურად არის გააზრებული პიროვნების ღირსებისა და ზნეობრივი პასუხისმგებლობის ქრისტოლოგიური საფუძველი, პავლესეული ეთიკის სოციალური განზომილება და სიყვარული, როგორც მისი უნივერსალური და გამაერთიანებელი პრინციპი.

ამრიგად, ჰერმენევტიკული, ანთროპოლოგიური და ეთიკური შეხედულებების ურთიერთკავშირში გააზრება პავლეს ქრისტიანული აზროვნების ერთიან კონცეპტუალურ წყობას წარმოაჩენს. ამ ურთიერთმიმართებაში ჰერმენევტიკა მის შემეცნებით და განმარტებით საფუძვლად, ანთროპოლოგია — ონტოლოგიურ და სოტერიოლოგიურ შინაარსად, ხოლო ეთიკა — ქრისტეში განახლებული არსებობის ზნეობრივ და პრაქტიკულ გამოხატულებად იკვეთება. ამგვარი გააზრება წარმოაჩენს პავლეს ნააზრევის შინაგან ლოგიკას, კონცეპტუალურ თანმიმდევრულობასა და ქრისტოცენტრულ და პნევმატოლოგიურ საფუძვლებს.

დასკვნა

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი პავლე მოციქულის, როგორც ქრისტიანი ფილოსოფოსის ნააზრევის ახლებურ და კომპლექსურ გააზრებას წარმოადგენს. კვლევამ შესაძლებელი გახადა პავლეს აზროვნების ძირითადი თავისებურებების გამოვლენა მისი ცხოვრებისა და განათლების ისტორიულ-კულტურული კონტექსტის,

აგრეთვე, ჰერმენევტიკული, ანთროპოლოგიური და ეთიკური შეხედულებების ურთიერთკავშირში განხილვის საფუძველზე.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ პავლეს ნააზრევი, მართალია, ფორმალურად სისტემატიზებული ფილოსოფიის სახით არ ჩამოყალიბებულა, თუმცა, იგი ავლენს შინაგან ლოგიკას, კონცეპტუალურ თანმიმდევრულობასა და მკაფიო ქრისტოცენტრულ და პნევმატოლოგიურ საფუძვლებს. პავლე იუდაურ ბიბლიურ ტრადიციასა და ელინისტურ სააზროვნო მემკვიდრეობას მექანიკურად კი არ იღებს, არამედ ქრისტეს გამოცხადების საფუძველზე გადაიაზრებს და გარდაქმნის. ამის საფუძველზე მისი ნააზრევი შეიძლება განხილულ იქნეს ქრისტიანული ფილოსოფიის ერთ-ერთ ადრეულ კონცეპტუალურ მოდელად.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პავლესეული ჰერმენევტიკის საფუძველს წმინდა წერილის ქრისტოცენტრული განმარტება, ღვთაებრივი გამოცხადება და ეკლესიური გარდამოცემა წარმოადგენს. მისი ანთროპოლოგიური მოძღვრება ადამიანს ქრისტეში განახლების, გარდაქმნისა და ღმერთთან ერთობის დინამიკაში განიხილავს, ხოლო ეთიკური სწავლება გამომდინარეობს არა ავტონომიური მორალური პრინციპებიდან, არამედ ქრისტეს გამომხსნელი მოქმედებისა და სულიწმიდის მადლისაგან. სიყვარულის ეთიკა, პიროვნული ღირსება, თავისუფლება, პასუხისმგებლობა და ქრისტეში თანასწოროება ამ მოძღვრების პიროვნულ და სოციალურ განზომილებებს წარმოაჩენს.

ამრიგად, პავლეს ჰერმენევტიკული, ანთროპოლოგიური და ეთიკური შეხედულებები ურთიერთდაკავშირებულ კონცეპტუალურ მთლიანობას ქმნის. მათი ერთიანობაში განხილვა წარმოაჩენს პავლე მოციქულის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქრისტიანული აზროვნებისა და ქრისტიანული ფილოსოფიის ჩამოყალიბებისათვის. ამასთანავე, პავლესეული ქრისტიანული ფილოსოფიის კვლევა აქტუალობას ინარჩუნებს თანამედროვე ადამიანის სულიერი, ანთროპოლოგიური, ეთიკური და სოციალური პრობლემების გააზრებისათვის. ნაშრომი შეიძლება სასარგებლო იყოს როგორც ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ისე ზოგადფილოსოფიური პრობლემატიკით დაინტერესებული მკვლევრებისათვის.

New Georgian University
Faculty of Humanities and Social Sciences

Ilia Gvimradze
(Archimandrite Dionise)

The Apostle Paul as a Christian Philosopher

Educational program: Christian Philosophy

Thesis submitted for the degree of Doctor of Philosophy

Summary

Poti
2026

New Georgian University
Faculty of Humanities and Social Sciences

Scientific supervisor: **Tengiz Iremadze**
Doctor of Philosophy, Professor

The date of the dissertation will be updated at website: www.ngu.edu.ge

The defense of the dissertation will take place at the Faculty of Humanities and Social Sciences of New Georgian University, at a session of the Dissertation Committee.

The dissertation is available at the library of New Georgian University (Poti, Guria str. № 1).

Contents

Research Problematic and Its Relevance _____20

Research Goal_____22

Research Objectives _____23

Research Hypothesis_____24

Literature Review and Theoretical Context of the Research _____25

Methodology _____26

Description of Research Results _____27

Scientific Novelty of the Dissertation_____28

Conclusion _____29

Research Problematic and Its Relevance

Saint Paul the Apostle is one of the key and most authoritative figures in Christian doctrine. In his work, on the one hand, we encounter the selective use and transformation of concepts and modes of thought characteristic of the Hellenistic-Roman intellectual environment, and on the other hand, an organic connection to Jewish law and its Christological reinterpretation. Furthermore, these intellectual and religious elements acquire a new conceptual content within Paul's Christian teaching; it is also noteworthy that Paul's doctrine significantly determined the formation of the broad intellectual horizon of the subsequent Christian tradition. On this basis, he can be considered one of the paradigmatic authors of Christian thought—a thinker who reinterprets prior religious and philosophical heritage through the perspective of divine revelation. Accordingly, the research problem consists in determining on what grounds Paul's thought can be understood as Christian philosophy.

In the present study, Christian philosophy is understood as conceptually consistent thought based on the truth given in divine revelation, which interprets the fundamental issues of God, humanity, salvation, and the moral life through philosophical language and categories.

Saint Paul carried out his ministry in the diverse intellectual environment of the Hellenistic-Roman era, which featured Platonic, Aristotelian, Stoic, and Epicurean traditions, as well as the Jewish religious-intellectual tradition. This context is important for understanding the historical background of Paul's thought, though it does not in itself demonstrate the direct influence of these philosophical schools on his views. The defining foundation of Paul's thought is the divine revelation realized in Christ. Given this multifaceted intellectual and religious context, a systematic study of his thought from the perspective of Christian philosophy is especially relevant. Despite numerous studies devoted to Paul's thought, a comprehensive and systematic understanding of the Apostle as a Christian philosopher remains a current and vital direction of research.

Furthermore, Saint Paul's influence is immense both in the spread of Christianity and in the conceptual formation of Christian thought. Over the

centuries, his thought has been the subject of numerous theological, philosophical, and hermeneutical interpretations.

Paul's unique position in the Christian tradition is further evidenced by the fact that fourteen epistles out of the twenty-seven books of the New Testament are attributed to him by church tradition. Moreover, he did not belong to the circle of the Twelve Apostles and was not among Christ's followers during His earthly ministry; initially he persecuted the Church, and was called to apostleship as a result of the revelation of the risen Christ. He refers to himself as the Apostle to the Gentiles, a mission later recognized by the other apostles (Gal. 2:7–9). These very circumstances have ensured that his person and doctrine remain a subject of special research interest within both Christian and broader academic and intellectual spaces.

Direct citations of Hellenistic philosophers do not bear a systematic character in Saint Paul's epistles. He employs several popular sayings of the time, which does not constitute conclusive evidence of academic training in classical philosophy. Nevertheless, Paul possesses a strong command of the Greek language, and his arguments reveal a familiarity with philosophical problematic and conceptual apparatus. His thought can be evaluated as a creative reception and Christian reinterpretation of individual categories of ancient philosophy, as well as the presentation of Christian truth through the conceptual instruments of ancient thought. All of this provides grounds for considering Paul as one of the earliest Christian philosophers.

Within Saint Paul's Christian philosophy, particular importance attaches to his hermeneutical model, anthropological concept, and ethical doctrine. In the synthesis of these three directions, the conceptual integrity of Paul's Christian philosophy clearly emerges, constituting one of the primary foundations for the systematic study of his thought.

Special attention is devoted to these directions in the present study, as each continues to hold scientific significance. Hermeneutics—the theory and practice of textual interpretation—has a long philosophical-religious tradition and remains one of the most important methodological directions in the modern humanities. Anthropological and ethical issues directly concern human nature, freedom, responsibility, and the meaning of life, which is why they

consistently occupy a prominent place in both philosophical and theological research. Therefore, studying Paul's hermeneutics, anthropology, and ethics—both individually and in their interrelation—maintains distinct academic relevance today.

Research Goal

The goal of this doctoral dissertation is to substantiate the internal integrity and philosophical character of Saint Paul the Apostle's thought through systematic research, presenting Paul as a Christian philosopher. The study aims to demonstrate that Paul's doctrine does not consist merely of an aggregation of isolated theological propositions, but instead reveals an internally interconnected and conceptually consistent Christian-philosophical vision based on divine revelation. The integrity of this vision manifests in the interrelation of Paul's arguments regarding God, humanity, salvation, and moral life, while his thought possesses a unified Christocentric and pneumatological orientation.

Presenting Paul as a Christian philosopher does not imply artificially assigning him to any ancient philosophical school or asserting that he created a finished philosophical system. In this context, philosophical thought is understood as a consistent and conceptually sound reflection on the fundamental issues of God, humanity, salvation, and moral life on the basis of divine revelation. Paul reflects on the meaning of human existence, humanity's fallen state, renewal in Christ, and the foundations of moral life, examining these issues within the unified perspective of salvation fulfilled in Christ. Accordingly, the systematic character of his thought does not imply the presence of a formalized, closed philosophical system, but rather the internal connection, common foundation, and Christocentric orientation of his primary propositions.

The internal integrity of Paul's Christian-philosophical vision is expressed with particular clarity in the interrelation among hermeneutics, anthropology, and ethics. Paul's understanding of divine revelation and Sacred Scripture forms

the foundation for his doctrine on human nature, state, and renewal in Christ, while the existence of the person renewed in Christ finds expression in moral life. Thus, the hermeneutical, anthropological, and ethical dimensions do not appear as independent theological topics, but as interconnected aspects of a single Christian-philosophical vision. Their unity demonstrates that Paul's understanding of revelation, his doctrine of humanity, and the principles of moral life rest upon a shared Christological and pneumatological foundation.

The philosophical originality of Paul's thought also emerges through its relation to Jewish and Hellenistic-Roman intellectual traditions. His thought connects to both traditions, yet is reducible to neither. Paul interprets the Jewish faith heritage Christocentrically, while reinterpreting specific intellectual elements of the Hellenistic-Roman world in the light of Christian revelation. Thus, the work aims to examine the Christian-philosophical significance of Paul's thought, demonstrate its conceptual integrity, and define Paul's place in the formation and development of Christian philosophy.

Research Objectives

To achieve the research goal, the following objectives have been set:

1. To examine the historical-intellectual context of Saint Paul the Apostle's life and activity, his education, and his epistolary heritage, establishing the groundwork for a subsequent systematic analysis of his thought.
2. To investigate Paul's hermeneutical model, its principles, methods, and the specific characteristics of his interpretation of Sacred Scripture.
3. To perform a systematic analysis of Paul's anthropological doctrine, examining its relation to Jewish and ancient anthropological traditions and demonstrating its Christocentric specificity.
4. To research Paul's ethical doctrine, analyzing its relation to Jewish and ancient ethical traditions, its fundamental principles, and the ontological foundations of Christian life.
5. To demonstrate the unified Christian-philosophical structure and specificity of Paul's thought based on the interrelation of his

hermeneutics, anthropology, and ethics, and to determine his significance in the formation of Christian philosophy.

Research Hypothesis

The present study is grounded in the hypothesis that Saint Paul the Apostle's epistles do not represent a mere collection of Christian dogmatic, moral, and exegetical statements, but reveal an internally consistent Christian-philosophical vision. The foundation of this vision is not abstract philosophical speculation, but divine revelation centered on the person of Jesus Christ and His redemptive mission.

According to the research hypothesis, Saint Paul is neither a mechanical continuation of the Jewish tradition nor a direct heir to ancient philosophical thought. On the basis of the revelation of Christ, he engages in the reception and Christocentric development of the Jewish religious-intellectual heritage on the one hand, and places selected concepts and categories of ancient philosophical thought into the service of Christian revelation on the other.

From this perspective, Paul's hermeneutics, anthropology, and ethics are interconnected directions of his Christocentric thought, collectively presenting his Christian-philosophical vision. Paul's hermeneutics is grounded in the recognition of the divine inspiration of Sacred Scripture and divine revelation; his anthropology develops the Jewish-biblical vision of human wholeness and essentially distances itself from the dualistic models present in Greek philosophy, insofar as it does not view the human being on the basis of an ontological opposition between soul and body; and his ethical doctrine appears not as an external moral code, but as the way of life for a person renewed by grace in Christ.

Thus, the core hypothesis of the research is that Saint Paul the Apostle can be understood as a Christian philosopher. His thought is rooted in divine revelation, carries a Christocentric character, and—through the Christian reception and reinterpretation of individual elements from both the Jewish

tradition and Hellenistic intellectual heritage—forms a consistent Christian-philosophical vision.

Literature Review and Theoretical Context of the Research

Saint Paul the Apostle is one of the most thoroughly studied authors in Christian thought. His epistles have been the subject of intensive research across biblical studies, theology, philosophy, and the history of religion for many centuries. The scholarly literature devoted to Paul's doctrine is extensive and available in numerous languages. Given the multifaceted nature of his thought, existing studies have been conducted from diverse methodological and disciplinary perspectives.

Contemporary scientific literature reveals several main directions: on the one hand, historical-critical and exegetical studies that examine the authorship, chronology, literary characteristics, and historical context of the epistles; on the other hand, systematic theological works focused on Paul's Christology, soteriology, ecclesiology, and ethical teaching. Furthermore, recent decades have seen a significant rise in interest regarding Paul's hermeneutics, anthropology, and his connections to ancient philosophical traditions.

For the present study, the works of M. Hengel and J. Murphy-O'Connor are of particular importance for understanding Paul's life and chronology; the research of A. W. Pitts for comprehending his historical-intellectual context and relation to ancient philosophy; the works of Richard Hays for the study of Paul's hermeneutics; and D. G. Dobikin's textbook as a theoretical foundation for biblical hermeneutics. Account is also taken of the works of J. D. G. Dunn, G. E. Ladd, and V. P. Furnish, which analyze various aspects of Paul's theology, anthropology, and ethics. The theoretical foundation of this study relies on patristic interpretations of Paul's epistles, contemporary theological research, and works in ancient and Christian philosophy. In this regard, a primary place is assigned to the commentaries of Saint John Chrysostom and other Holy Fathers, who treat Paul's epistles within the living tradition of the Church and present his theology as an organic part of Christian teaching.

Despite the abundance of existing scholarly literature, Paul's thought is mostly examined within separate disciplinary frameworks. Consequently, a systematic understanding of his hermeneutics, anthropology, and ethics as interconnected aspects of a single Christocentric theological-philosophical vision remains comparatively less developed. The present study addresses precisely this gap, drawing upon a complex analysis of Paul's epistles to demonstrate the internal consistency of his thought and substantiate the viability of interpreting Saint Paul as a Christian philosopher.

The research relies on the Greek text of the New Testament, patristic commentaries, and contemporary biblical, theological, and philosophical literature. Through comparative, historical-grammatical, and systematic analysis of these sources, the internal unity of Saint Paul's hermeneutics, anthropology, and ethics is demonstrated, and his interpretation as a Christian philosopher is substantiated.

Methodology

The dissertation employs exegetical, hermeneutical, lexical-semantic, historical-grammatical, historical-cultural, philosophical-analytical, systematic, and comparative methods. Through these approaches, the internal logic of Saint Paul's thought is investigated and the main directions of his Christian philosophy are identified.

Issues regarding Saint Paul's life and education are examined through historical-cultural and comparative approaches. Exegetical, hermeneutical, lexical-semantic, and historical-grammatical analysis of his epistles in relation to Jewish and Hellenistic intellectual traditions revealed the foundational principles of his biblical interpretation. Philosophical-analytical and systematic approaches subsequently made it possible to present these principles as a unified hermeneutical model.

In researching his anthropological doctrine, exegetical, lexical-semantic, and philosophical-analytical methods were used to analyze Paul's key

anthropological concepts and their interrelations, while systematic and comparative approaches highlighted their conceptual integrity and specificity.

In examining his ethical doctrine, exegetical, hermeneutical, philosophical-analytical, systematic, and comparative approaches were used to identify its Christocentric and pneumatological foundations, as well as its conceptual characteristics.

Description of Research Results

Based on the research conducted, the core Christian-philosophical principles and categories of Paul's thought have been identified, along with their relation to the Jewish biblical tradition and the Hellenistic intellectual milieu. The research progressed across several vectors: the historical-cultural context of Paul's life and education, his hermeneutics, his anthropology, and his ethics.

The findings highlight Saint Paul's exceptional role in the conceptual formation of Christian-philosophical thought. In his work, the Jewish biblical heritage and specific concepts prevalent in the Hellenistic intellectual environment are reinterpreted on the foundation of the revelation of Christ, acquiring new meaning within a unified Christocentric framework.

The study demonstrated that Paul's hermeneutical, anthropological, and ethical views form an interconnected conceptual whole. They are united by a Christocentric interpretation of Scripture, human renewal in Christ, and a moral life directed by the action of the Holy Spirit, which manifests in love, freedom, and responsibility.

These results demonstrate the importance of Paul's teaching not only within the context of the early Christian era, but also for addressing the spiritual, anthropological, and ethical problems of contemporary humanity, affirming the universal character of his Christian-philosophical thought.

Scientific Novelty of the Dissertation

The main scientific novelty of the work lies in a fresh and comprehensive presentation of the Christian-philosophical dimension of Saint Paul the Apostle's thought. This novelty consists not merely in examining Paul's hermeneutical, anthropological, and ethical views in isolation, but in analyzing their interrelation and demonstrating them as a unified Christian-philosophical conceptual whole. This approach incorporates the historical-cultural context of Paul's life and education, an analysis of which outlines the intellectual horizon of his intellectual development.

A further scientific novelty of the dissertation is the identification of key criteria on the basis of which Paul's thought can be evaluated as Christian philosophy. His thought rests upon the divine revelation realized in Christ, while its philosophical character is demonstrated by a conceptually consistent and systematic reflection on God, humanity, salvation, and the moral life.

Within the hermeneutical sphere, the specific novelty of the dissertation is the conceptual delineation of a revelatory methodology. This methodology presents the revelation received by Paul not merely as the source of his apostolic calling and preaching, but as one of the primary epistemological foundations of his thought and his Christocentric interpretation of Sacred Scripture.

In the context of understanding Paul's thought as a unified Christian philosophy, the novelty further consists in demonstrating the relationship of Christian revelation to the Jewish and Hellenistic intellectual heritages on the basis of selective reception and Christocentric transformation. Paul selectively accepts individual elements of these heritages and reinterpret them in light of Christian revelation. On this foundation, his thought can be evaluated as one of the earliest conceptual models of Christian philosophy.

In anthropology, the specific scientific novelty lies in the systematic exposition of the semantic differences, functions, and interrelations of the terms used by Paul—spirit, soul, flesh, body, mind, heart, and conscience. Comparative analysis delineates their relation to both the Jewish anthropological tradition and Hellenistic philosophical doctrines. The concept

of the "inner man" is analyzed separately alongside its connection to the notions of the "new man" and the "image of God," presenting these concepts as distinct yet interconnected dimensions of human renewal in Christ.

A further novelty in the anthropological dimension is the systematic substantiation of the deification-oriented trajectory of Paul's doctrine. Although the term *theosis* (θέωσις) does not explicitly appear in Paul's epistles, his teaching on human renewal, transformation, and union with God in Christ confirms that the ultimate trajectory of Paul's anthropology carries a deification-based content.

In ethics, the specific scientific novelty consists in placing the revelatory, Christological, pneumatological, personal, and social dimensions of Paul's ethical doctrine into a unified Christian-philosophical context. Within the overall framework of the research, Paul's ethics emerges not as an autonomous moral system, but as the moral expression of human renewal in Christ, intrinsically tied to his hermeneutical and anthropological views. Within this same framework, the Christological foundation of personal dignity and moral responsibility, the social dimension of Paul's ethics, and love as its universal and unifying principle are systematically analyzed.

Thus, examining Paul's hermeneutical, anthropological, and ethical views in their interrelation reveals the unified conceptual structure of his Christian thought. In this synthesis, hermeneutics functions as its epistemological and interpretative foundation, anthropology as its ontological and soteriological content, and ethics as the moral and practical expression of existence renewed in Christ. Such an approach reveals the internal logic, conceptual consistency, and Christocentric and pneumatological foundations of Paul's thought.

Conclusion

The presented dissertation offers a new and comprehensive understanding of Saint Paul the Apostle's thought as a Christian philosopher. The research has made it possible to uncover the essential features of Paul's thought by

examining the historical-cultural context of his life and education alongside the interrelations of his hermeneutical, anthropological, and ethical views.

The study substantiates that while Paul's thought was not formally formulated as a systematized philosophy, it nevertheless exhibits internal logic, conceptual consistency, and clear Christocentric and pneumatological foundations. Paul does not mechanically adopt the Jewish biblical tradition or Hellenistic intellectual heritage; rather, he reinterprets and transforms them on the basis of the revelation of Christ. Consequently, his thought can be evaluated as one of the earliest conceptual models of Christian philosophy.

The findings reveal that the foundation of Pauline hermeneutics is the Christocentric interpretation of Sacred Scripture, divine revelation, and ecclesial tradition. His anthropological doctrine examines humanity within the dynamics of renewal, transformation, and union with God in Christ, while his ethical teaching derives not from autonomous moral principles, but from the redemptive act of Christ and the grace of the Holy Spirit. The ethics of love, personal dignity, freedom, responsibility, and equality in Christ reflect the personal and social dimensions of this doctrine.

Thus, Paul's hermeneutical, anthropological, and ethical views form an interconnected conceptual whole. Analyzing them in their unity highlights Saint Paul the Apostle's exceptional significance for the development of Christian thought and Christian philosophy. Furthermore, the study of Pauline Christian philosophy remains highly relevant for addressing the spiritual, anthropological, ethical, and social issues of the modern individual. This work will be useful for researchers interested in both the Christian worldview and general philosophical problematics.